

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კლინიკური ფსიქოლოგია
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	<i>კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრი</i>
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	120 ECTS კრედიტი
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	<p>სამაგისტრო პროგრამა ორიენტირებულია კლინიკური ფსიქოლოგიის სფეროში კვალიფიცირებული სპეციალისტის მომზადებაზე. პროგრამის მიზანია სწავლის პერიოდში მაგისტრანტი ჩაუღრმავდეს მისაღებ ცოდნას, რაც ფსიქიკურ მდგომარეობათა ზედაპირზე არსებულ ურთიერთობათა მექანიზმების წვდომაში, ამა თუ იმ ფსიქოლოგიური მოვლენის, განცდის გამომწვევი ფაქტორების, გამოვლენის თავისებურებების დადგენაში, ლონგიტიდურ ჭრილში განვითარების სპეციფიკის, ფსიქიკის ჯანმრთელი და პათოლოგიური ტენდენციების ურთიერთ დამოკიდებულების ათვისებაში გამოიხატება.</p>
სწავლის შედეგები	<p>სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული საგნების შესწავლა ხელს უწყობს მაგისტრანტს გააცნობიეროს ამ კურსების ურთიერთმიმართებები, კონცეპტუალური თავისებურებები, მათი წინააღმდეგობრიობის მიუხედავად ერთიან სისტემაზე ორიენტირებულობის მაჩვენებლები, ურთიერთშემავსებლობა, ფსიქიკურ მოვლენათა ზუსტი აღწერის, ფუქციონირების, მიზეზ-შედეგობრივი კავშირურთიერთობების დადგენის შესაძლებლობები. ყველაფერი ეს განაპირობებს მაგისტრანტის მიერ დამოუკიდებელი საქმიანობის ათვისებულობის შესაძლებლობებს, როდესაც მას თავისუფლად შეეძლება ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, გადაწყვეტილების მიღება, დიაგნოსტიკა, კონსულტირება, ინტერვენცია.</p>
შეფასების წესი	<p>საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტში სტუდენტის მიერ კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება საკრედიტო სისტემით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.</p> <p>სტუდენტის მიერ გაწეული შრომის შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასების სისტემა გულისხმობს ა) ა.შუალედურ შეფასებებს-60 ქულას; ბ.დასკვნითი გამოცდის შეფასებებს - 40 ქულას.</p> <p>ა) შუალედური შეფასებები თავის მხრივ მოიცავენ სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას, ყოველდღიურ აქტიურობას, მუშაობას ჯგუფში, რომლის მაქსიმალური შეფასება 40 ქულას უდრის. შუალედურ შეფასებებს მიეკუთვნება აგრეთვე მიმდინარე 1 შუალედური გამოცდა, რომელიც 20 ქულით ფასდება.</p> <p>ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასება - 40 ქულა.</p> <p>შეფასების მეთოდებიდან ძირითადად გამოიყენება:</p>

	<p>შუალედური და შემაჯამებელი ტესტები, (როგორც დახურული, ასევე ღია კითხვებით), ესე, ზეპირი პრეზენტაციები, შემაჯამებელი გამოცდა, შემთხვევის ანალიზი და სხვა. არსებობს ხუთი სახის დადებითი და ორი სახის უარყოფითი შეფასება.</p> <p>დადებითი შეფასებებია:</p> <p>ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;</p> <p>ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81- 90%;</p> <p>გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71- 80%;</p> <p>დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;</p> <p>ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;</p> <p>უარყოფითი შეფასებებია:</p> <p>ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.</p> <p>ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> <p>სტუდენტი “ჩაიჭრა” შეფასებას ღებულობს აგრეთვე:</p> <p>ა) თუ ის არ იქნა დაშვებული დასკვნით გამოცდაზე;</p> <p>ბ) ჩაიჭრა დასკვნით ან შესაბამის დამატებით გამოცდაზე.</p> <p>სტუდენტი ვალდებულია მიმდინარე შეფასებებში დააგროვოს არანაკლებ 21 ქულა, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დასკვნით გამოცდაზე არ დაიშვება. სტუდენტი ვალდებულია დაესწროს სალექციო მეცადინეობების 50%. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ დაიშვება დასკვნით გამოცდაზე. დასკვნით გამოცდაზე 20 ქულაზე ნაკლების მიღების შემთხვევაში სტუდენტი ითვლება ჩაჭრილად.</p>
<p>საკონტაქტო პირი</p>	<p>პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი გურამ ჩაგანავა</p> <p>ტელ: 899-67-31-56</p>